



# შირაქი

## SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.981)

26 ივნისი - 3 ივლისი, 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## თამაში ცეცხლის ყანაში...



„წარმოვიდგინე ხოლმე, რომ ათასობით ბავშვი თამაშობდა ყანაში, ერთმანეთს დასაძინებდა და არც ერთი უფროსი ვინმე მათთან არაა, მართლმაც ვარ იმ დასანს მიჯნაზე, ზედ კლდის პირას ვდგავარ. იმით კიდე უფსკრულია. მთელი ჩემი საქმეც ებ არი-რომელიმე ბავშვი რომ იმით გაიქცევა, უფსკრულიდან, დროზე უნდა ჩავაველო ხელი და არ გავუშვა. ეგაა მთელი ჩემი საქმე-დაამტარა ვეშაპოვ ყანაში. აი ებ მინდა რომ ვიყო.“

ზაფხულმა და დედოფლისწყაროში მომატებულმა ხანძრებმა პურის ყანაში სელენჯერის ცნობილი რომანი გამახსენა. „თამაში ყვავის ყანაში“ მეტაფორული ხასიათის ნაწარმოებია და ის რეალურ საფრთხეებზე გვიამბობს. მეტაფორაა ყვავის ყანა, მეტაფორაა კლდეც და მეტაფორაა დამჭერი-კეტერიც. ეს მეტაფორები სხვადასხვანაირად შეგვიძლია გავიგოთ - ყვავის ყანა საფრთხეა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქვე კლდეა, არამედ იმიტომაც, რომ ყვავის ყანაშია ჩასაფრებული მოულოდნელი საფრთხე.

ყვავის ყანების რა მოგახსენოთ, მაგრამ ქერისა და ხორბლის ყანებთან დაკავშირებულმა საფრთხემ დედოფლისწყაროში ყოველწლიური ხასიათი მიიღო. რამდენიმე დღის წინ, ვილაცის გაუფრთხილებელი ქმედების გამო, აუღებელი ნაკვეთები დაიწვა. ზარალი დიდია, როგორც ფერმერებისთვის, ასევე გარემოსათვის. ეს ბევრმა ვერ გააცნობიერა.

„როგორც ვიცი, ხანძარი შემთხვევით გაჩნდა. დაიწვა ასალები მოსავალი, ისე დამწვარი ტერიტორიები უფრო მეტია“, - ამბობს თვითმხილველი. სხვა თვითმხილველის ინფორმაციით კი, რომ არა ერთ-ერთი ფერმერის ტრაქტორი და ტექნიკა, ზარალი გაცილებით დიდი იქნებოდა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში უთხრეს, ადგილზე იმუშავა 8 სახანძრო ჯგუფმა და ხანძრის ლიკვიდირება მალევე მოხდა. უკვე რამდენიმე კვირაა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქერის მოსავლის აღება დაიწყო.

გასული წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში, იქ, სადაც ხორბლისა და ქერის მოსავალი უკვე აიღეს, ხანძრებს უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურად თავად მიწის მფლობელები აჩენენ და შემდეგ სამართალდამცავებს ემალებიან, რათა ჯარიმა თავიდან აიცილონ. ხანძრის გაჩენის მიზეზი მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთების თივისგან გათავისუფლებაა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში ცეცხლის კონტროლი ვერ ხდება და იწვება აუღებელი მოსავალიც. განგებ გაჩენილი ხანძრების მავნე პრაქტიკა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. არსებობს აკრძალვები და ჯარიმებიც, თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ რეალურად წლიდან წლამდე არაფერი იცვლება.

როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენელი დედოფლისწყაროში ამირან კოდინაშვილი ამბობს, თუ გადაწვის მავნე პრაქტიკაზე ფერმერებმა უარი არ თქვეს, საშიშროების გარდა ხანძრების მომატებულმა რაოდენობამ, შესაძლოა, ბიოსფერული რეზერვუარის განხორციელებაზეც უარყოფითად იმოქმედოს.

„შირაქში მოსავლის აღება ვერ არ დასრულდება, ხანძარმა კი თავი უკვე შეგვახსენა. ხანძარსანინალმდეგო წესების უგულებელყოფას სამსახურად ყოველთვის მოსდევს დიდი ეკონომიკური ზარალი, ზოგჯერ კი ტრაგედიითაც მთავრდება. ასეთი თვალსაჩინო მაგალითები ბევრია და ყველა აღიარებს, რომ ეს აღარ უნდა განმეორდეს, თუმცა, არსებობს კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური ზარალი, რომელსაც ფერმერთა უმეტესობა ყოველ წელს აყენებს თავის თავსაც და სახელმწიფოსაც და ეს თითქოს არ ჩანს. ყველა მიეჩნია, რომ ყანის გადანვა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მიმდებარე ქარსაცავის განადგურებაც მოჰყვება ხოლმე, ჩვეულებრივი მოვლენაა, არადა, ამ დროს ვანადგურებთ მიწის ჰუმუსოვან ფენას, რომლის შექმნას ბუნება მინიმუმ 200 წელი უნდება. ბუნებისა და გარემოსადმი ასეთი დამოკიდებუ-

ლება არ იძლევა მდგრადი განვითარების საშუალებას და მხოლოდ მოკლევადიან ინტერესებს ემსახურება. ეს უნდა შეიცვალოს, ოღონდ არა მხოლოდ მთავრობის მოწოდებითა და მკაცრი რეგულაციების საშუალებით, არამედ მოსახლეობის აქტიური ჩარევით. ხომ ფაქტია, რომ მოსახლეობის უმეტესობას გადანვების სეზონზე დიდი პრობლემები ეწყება, მთელი თვე ჰაერში დამწვარი ფერფლი და საშინელი სუნი ტრიალებს, ყველა შეწუხებული მაგრამ არავინ მიუთითებს, მეზობელს, მეგობარს თუ უბრალოდ ნაცნობს, რომ არ გადანვას ნაკვეთი, რომ ეს არასწორია, საზიანოა. ვერიდებით ადამიანების განაწყენებას და შედეგად ვიმკით ჩვენი უპრინციპობისა და შემგუბლობის ნაყოფს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მითუმეტეს რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი წელს წარდგება იუნესკოს კომისიის წინაშე რათა მიიღოს ბიოსფერული რეზერვუარის სტატუსი. ეს გულისხმობს, რომ დედოფლისწყაროს ეკონომიკის დიდი ნაწილი მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე უნდა იყოს დაყრდნობილი. ბიოსფერული რეზერვუარია არაფერს არ კრძალავს. ის არის საზოგადოების კეთილ ნებაზე დაყრდნობილი და იძლევა საშუალებას ჰარმონიული და მდგრადი განვითარების შედეგებით ყველამ ისარგებლოს. ბიოსფერული რეზერვუარის სტატუსი ჩვენი მუნიციპალიტეტის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს გააძლიერებს, შედეგად მივიღებთ მეტ ინვესტიციებსა და მეტ სარგებელს. წლების წინ, როდესაც ვაშლოვანის ეროვნული პარკის დაარსების საკითხი წყდებოდა, ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს რაიმე დადებით შედეგს მოიტანდა. დღეს, ვფიქრობ, ყველასათვის თვალნათელია, რომ დედოფლისწყაროში ჩამომსვლელ ვიზიტორთა 70 % სწორედ დაცული ტერიტორიების მოსანახულებლად მოდის. ახლაც ბიოსფერული რეზერვუარის დაარსებას ხელშეწყობა სჭირდება, რომელიც გამოიხატება ყველა საქმიანობაში, ბუნებისადმი კეთილგანწყობის შენარჩუნებასა და მისი ინტერესების გათვალისწინებაში.“

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, კახეთის რეგიონში სახანძრო-სამაშველო ძალების მოზილვებას აძლიერებს. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მოკიდებული ცეცხლის გავრცელების შესაძლო შემთხვევების აღსაკვეთად და დროულად სალიკვიდაციოდ, სოფლებში ხდება სახანძრო-სამაშველო ჯგუფების პატრულირება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოუწოდებს მოქალაქეებს, მოსავლის აღების პროცესში გამოიჩინონ მეტი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა, რათა თავიდან აიცილონ ხანძრის გაჩენის საფრთხე. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშვილი აცხადებს, რომ რამდენიმე დღის წინ, შირაქის ველზე ხანძარი გაუფრთხილებლობამ და უბედურმა შემთხვევამ გამოიწვია და არა ნაკვეთის გადანვამ. ამბობს, რომ „გასულ წელს ბევრმა ფერმერმა უარი თქვა გადანვის მავნე პრაქტიკაზე. თუმცა, უკეთესია, თუ უფრო მეტი ადამიანი შეუერთდება მათ რიგებს. „მოუწოდებ მოსახლეობას, გაუფრთხილდნენ როგორც საკუთარ, ასევე სხვის ნაკვეთებს და მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ, რათა არ განმეორდეს ის შემთხვევა, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა. ჩვენი სამაშველო სამსახურის თანამშრომლები აქტიურად პატრულირებენ შირაქის ტერიტორიაზე, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი საფრთხე“-განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ ნიკოლოზ ჯანაშვილმა.

\*\*\*

ლამაზია შირაქის ველი. თვალწინდელ ყანებს თავთუხისფერი დასდებია. ერთგან შავი ლაქა მოჩანს. ეს იმდღევანდელი ხანძრის კვალია. ლაქა არაფერს უხდება. განსაკუთრებით ყანას.

შავი ლაქები იცის ცეცხლთან თამაშმა. ეს მეტაფორა არაა. ეს რეალობაა, რომელიც ყოველწლიურად გვახსენებს თავს.

მომამზადა  
ინგა შიოლაშვილი

სოფელ გამარჯვებაში ტაძარი აკურთხეს



სოფელ გამარჯვების ყოვლად წმინდა სამების სახელობის ეკლესია დღეს, სულთმოფენობის დღესასწაულზე აკურთხეს. საზეიმო წირვა-ლოცვა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიების მმართველებთან და ჩვენი ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად ჩაატარა. ტაძრის კურთხევას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გამარჯვებაში მერის წარმომადგენელთან, ზვიად ზვიადაურთან ერთად დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ სამების სახელობის ეკლესია გამარჯვებაში პირველი მოქმედი ტაძარია, რომელიც სოფლის მოსახლეობის, ტაძრის წინამძღვარის, მამა იოანე გივიშვილის, ეპარქიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით აშენდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია თითოეულ გამარჯვებულს ულოცავს სოფლისათვის ამ მნიშვნელოვან მოვლენას, ასევე ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს სულთმოფენობის დღესასწაულს, ხოლო ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს, მეუფე დიმიტრის - დაბადების დღეს.

დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები „ქართული დღეების“ ღონისძიებაზე

დედოფლისწყაროს ახალგაზრდული პარლამენტის წევრები სვანეთში „ქართული დღეების“ ღონისძიებაზე დაესწრებინან.

დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს მშობლიური მუნიციპალიტეტის წარმოჩენაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია დაეხმარება.

შესაბამისი ვაუჩერი ახალგაზრდებს დღეს მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა გადასცა და მათ წარმატებები უსურვა.



სოციალური მუშაკები და მასწავლებლები თამბაქოს კონტროლის საკითხებზე გადამზადდებიან

საქართველოს მთავრობამ 2021 — 2025 წლების თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა. დოკუმენტი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, მწველი მოზარდების პრობლემაზეცაა საუბარი, 22 ივნისს გამოქვეყნდა.


სტრატეგიაში ნათქვამია, რომ საქართველოში თამბაქოს მოხმარება საკმაოდ ადრეული ასაკიდან იწყება და ამის აღმოსაფხვრელად გარკვეული ღონისძიებებიცაა დაგეგმილი. მათ შორის თამბაქოს კონტროლის საკითხებზე მასწავლებლების და სოციალური მუშაკების დატრენინგებაც.

„შემამოფოთებელია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში თამბაქოს მოხმარება საკმაოდ ადრეულ ასაკში იწყება. მონევის დაწყების საშუალო ასაკი კაცებში 18.2 ხოლო ქალებში 21.3 წელია. ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტის (the European School Survey Project on Alcohol and Other Drugs – ESPAD) 2019 წლის შედეგების მიხედვით, 16 წლის სკოლის მოსწავლეების 12% რეგულარული მწველია, 7% მოიხმარს ელექტრონულ სიგარეტს, 5% ჩილიმს და 3% გახურებადი თამბაქოს ნაწარმს. 20.5%-მა სიგარეტი პირველად მოწია 13 წლის ან უმცროს ასაკში, ხოლო 2.5% ამ ასაკში უკვე ყოველდღიური მწველი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე კვლევის 2015 წლის (NCDC, 2016) შედეგებთან შედარებით, სახეზეა დადებითი ტენდენცია. ახალგაზრდებში თამბაქოს გლობალური 2017 წლის კვლევის შედეგების (Global Youth Tobacco Survey – GYTS) (NCDC, 2017) მიხედვით 13-15 წლის ასაკის მოზარდების 15.4% (20.6% ბიჭი, 9.6% გოგო) თამბაქოს ნებისმიერი პროდუქტის ამჟამინდელი მომხმარებელია. ამავე კვლევის მიხედვით, მოზარდთა 43.2% თამბაქოს მეორადი კვამლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა სახლში, ხოლო 58.9% თამბაქოს მეორადი კვამლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა დახურული ტიპის სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში“, - ვკითხულობთ მთავრობის დოკუმენტში.

ეროვნულ სტრატეგიაში განხილულია თამბაქოს მოხმარების შემცირების მიზნით აქამდე განხორცილებული საკანონმდებლო ცვლილების თუ ღონისძიებების შესახებ და საუბარია ასევე სამომავლო გეგმებზე, მათ შორის თამბაქოს კონტროლის საკითხებში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების გადამზადებაზე.

2021-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია არასრულწლოვნებში მონევის გავრცელების ყოველწლიურად 1%-ით შემცირება; მოზრდილებში მონევის გავრცელების ყოველწლიურად 2%-ით შემცირება; 2025 წლისთვის სახლის პირობებში მეორადი კვამლის ზემოქმედების შემცირება ბავშვებში 10%-ით და მოზრდილებში 5%-ით

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები დედოფლისწყაროში



დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომითი მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლები, „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების“ შეთანხმებით განსაზღვრული პირობებისა და რეგულაციების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობენ.

დღეს მათ მორიგი შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჩაატარეს.

მინვეულ პირებს დამატებითი განმარტებები ზემოხსენებული შეთანხმების ფარგლებში უკვე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მიეწოდათ.

როგორც ცნობილია, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეთა დროებით, მაქსიმუმ სამი თვის ვადით დასაქმებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სოფლის მეურნეობის სფეროში სეზონურ სამუშაოებზე. შეთანხმების მოქმედების ვადა კი არ არის დროში შეზღუდული.

შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ფხოველიშვილი დაესწრო.

საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც ეტაპობრივად გაიმართება.

საქართველოს პრემიერის ინიციატივით პანდემიის დროს გამოწერილი ჯარიმები გაუქმდება

საპარტიკო პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით პანდემიის დროს გამოწერილი ჯარიმები გაუქმდება. ინიციატივა 245 000 მოქალაქეს და 344 იურიდიულ პირს ეხება და ის ათავისუფლებს ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ამნისტია შეეხება და როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული სახდელისგან გა-

დანესებული რეგულაციების დარღვევის გამო ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ამნისტია შეეხება და როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული სახდელისგან გა-

თავისუფლდება დაახლოებით 245 ათასზე მეტი ჩვენი მოქალაქე და 344 იურიდიული პირი.

საუბარია იზოლაციის, კარანტინისა და პირბადის ტარების წესების დარღვევის გამო დაკისრებულ დაახლოებით 76 მილიონი ლარის გადაუხდელ ჯარიმებზე.

ეს გადანაცვლება, რა თქმა უნდა, ჩვენ მივიღეთ პანდემიით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. პანდემიის პერიოდში კარგად გვესმის, რომ ჩვენი არაერთი მოქალაქე და ბიზნესი დაზარალდა და ძალიან რთული წელი იყო 2020 წელი. ეს სახდელები მათთვის იყო მძიმე ტვირთი. რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ ვირუსის მართვისთვის აუცილებელი იყო და არის რეგულაციების დაცვა, თუმცა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და ეს ინიციატივაც სწორედ ამით არის განპირობებული. აღნიშნული ინიციატივა უმოკლეს დროში იქნება დამტკიცებული“, - განაცხადა ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში საგანგებოდ ამ თემაზე გამართულ ბრიფინგზე.



# ალოობა და ტექნიკის დეფიციტი

დედოფლისწყაროში ალოობა დაიწყო. ქერის მოსავალი შემოსულია. ალაბ-ალაბ ხორბალსაც იღებენ. ჩვენ შირაქის ველზე გავდივართ. ოქროსფერი ყანები ლამაზად ღელავს და კომბაინებს ელის. მხოლოდ რამდენიმე ადგილას დავინახეთ მოსავლის ალბის პროცესი. შპს „მექანიზატორთან“ ფერმერები დგანან. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ ტექნიკა საკმარისი რაოდენობით არაა და მოსავლის დაზიანება გვინდობა.

როგორც გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ფერმერები ამბობენ, ტექნიკის დეფიციტი რამდენიმე დღიანმა წვიმებმა შექმნა. როგორ? „იქ, სადაც მოსავალი შემოსული იყო, წვიმის გამო შეფერხდა. მერე, რამდენიმე დღეში სხვაგანაც ასალები გახდა და ტექნიკა აღარ ეყო“-შექმნილ სიტუაციას გვიხსნიან გლეხები.

„კლიმატის ცვლილებამ ბევრი რამ შეცვალა. ადრე, ქართლში და სამცხე-ჯავახეთში ქერისა და ხორბლის ყანები გვიან მნიფდებოდა. ახლა, ყველგან ერთდროულად შემოვიდა მოსავალი. ამიტომ ტექნიკა სხვა რაიონებიდან აღარ შემოდის. მექანიზატორები ამბობენ, ორი კვირის გამო ამხელა მანძილზე წამოსვლა არ გვიდისო“-კიდევ ერთ ინფორმაციას გვიზიარებენ კომბაინების მომლოდინენი.

წელს მარცვლეული კულტურების მოსავალი ცუდი არაა. ზოგი კმაყოფილია, ზოგი-უკმაყოფილო. ისინი, ვინც წელს უხვ მოსავალს ელიან, ამბობენ, რომ ყველაფერს ცოდნა უნდა. ამიტომ, მათ, ვინც ცოდნასთან ერთად ფინანსებიც არ დაინანა, მოსავლით კმაყოფილია. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ აგროვადების დაცვით ყველა საჭირო ოპერაცია ჩაატარეს, მაგრამ მოსავალმა იმედეები გაუცრუა.

უხვი თუ ცუდი მოსავლის მიუხედავად, ამ ეტაპზე ყველას ერთი საერთო პრობლემა ანუხებს-ტექნიკას ელოდება, რათა მოწეული მარცვლეული დროზე აიღოს და დააბინაოს.

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ეს პრობლემა ცნობილია. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ საჭირო ზომები უკვე მიიღო.


კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი დედოფლისწყაროში იმყოფებოდა, სადაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ალოობასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა.

ალოობასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა, პაატა ღვინიაშვილმა და დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელმა ივანე პართენიშვილმა მიიღეს მონაწილეობა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, „პროცესის მართვა ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ჩვენს ხელთ არსებული რესურსის ფარგლებში, დამატებით 7 კომბაინი სოფლებზე გადავანდინებთ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა სოფლებში, პატარა ნაკვეთების ალბას იწყებს და ყველას მიეცემა საშუალება, უდანაკარგოდ აიღოს და დააბინაოს მოსავალი. ჯერ ხდება ქერის მოსავლის ალბა და ამის შემდეგ დაიწყება ხორბლის ნათესების ალბა-დაზინაების პროცესი. ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაფერს გააკეთებს, რომ არავინ დარჩეს დაზარალებული და ყველას მიეცეს მოსავლის დროულად დაზინაების საშუალება“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



## დაავადებათა კონტროლის ცენტრი ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით მოსახლეობას რეკომენდაციებით მიმართავს



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით მოსახლეობას რეკომენდაციებით მიმართავს.

მათ შორის ცენტრი საზოგადოებას ურჩევს, არ დატოვონ ბავშვები და შინაური ცხოველები გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებებში.

„შეეცადეთ საცხოვრებელ გარემოში შეინარჩუნოთ სიგრილე. სახლში ტემპერატურა შეამოწმეთ დილის 08:00 საათიდან 10:00 მდე, 13:00-ზე და ღამით 22:00 საათის შემდეგ. დღისით ოთახის იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32 C, ხოლო ღამით კი 24 C-ს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისათვის; აგრეთვე მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი აქვთ. ღამით გააღეთ ფანჯრები და დატოვეთ ღია დილაამდე, სანამ გარეთ სიგრილე იქნება (თუ ეს სახიფათო არ არის). დღისით შეამცირეთ სახლში სიცხის შეღწევა - დახურეთ ფანჯრები, ყალუხები და დარბები, განსაკუთრებით მზის მხარეს. შეძლებისდაგვარად გამორთეთ ელექტრომომწყობილოები და ხელოვნური განათება. მზის მხარეს ჩამოაფარეთ დამჩრდილავი ფარდები, ყალუხები, დარბები. ჩამოკიდეთ სველი პირსახოცები, რაც გაგრილებასთან ერთად სახლს დაატენიანებს. თუ სახლში გაქვთ კონდენციონერი, დაკეტეთ ყველა კარი და ფანჯრები, რათა ეფექტურად გამოიყენოთ ელექტროენერგია. ეს აგაცილებთ ქვეყანაში ელექტროენერგიის დეფიციტის საფრთხეს. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე“- აღნიშნავენ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში.



# დედამიწა გლობალური საფრთხის წინაშე

გვალვა მოვლენა, რომელიც ჩვენი გლობალიზაციისთვის საკმაოდ ნაცნობია. იმდენად ნაცნობი, რომ უკვე მისალე და გუნებრივ ფაქტორად კი გადაიქცა. გვიწევს ამ ფაქტორს შევუბა და აღვატებო.

გვალვა ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ხანგრძლივ უნაღებო პერიოდთან, ჰაერის მაღალ ტემპერატურასა (ზოგჯერ წლის ცივ პერიოდში ე.წ. ზამთრის გვალვა (ალბინოზება) და დაბალ ფარდობით ტენიანობასთან. გვალვა არის ნალექების შემცირება ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გვალვა აზიანებს სოფლის მეურნეობას და საკვებ მარაგს. გვალვა წყალდიდობებს და ხანძრებს ქმნის. გვალვამ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი დეპრესიაც კი გააძლიერა. არახალია, რომ ადამიანის საქმიანობასთან ერთად, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ჰაერის ტემპერატურული რეჟიმის ცვალებადობა გვალვის საშიშროებას ზრდის. ბოლო წლებში გვალვის გამოვლინების სიხშირე დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა.

საქართველოში გვალვა განსაკუთრებით ხშირია ივლის-აგვისტოს თვეებში შიდა და ქვემო ქართლის, კახეთის, შირაქის, ქვემო იმერეთის რეგიონებში და იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, სასოფლო-სამეურნეო ნათესების განადგურებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებას.

გაეროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ანგარიშის თანახმად, დედამიწის უმეტეს ნაწილს უახლოეს მომავალში მკაცრი გვალვა ემუქრება. სპეციალისტთა თქმით, ეს გლობალური საფრთხეა, რომლის თავიდან ასაცილებლადაც ბრძოლა საჩქაროდაა დასაწყები. ანგარიშის თანახმად, მხოლოდ უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში გვალვამ პირდაპირ გავლენა მოახდინა დაახლოებით 1.5 მილიარდ ადამიანზე,

მისგან მიყენებულმა ზარალმა კი 125 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეს რიცხვები მხოლოდ მონიშნავს სახელმწიფოების მდგომარეობას ასახავს, ვარაუდობენ, რომ ისინი სინამდვილეს არ შეესაბამება. აღინიშნა, ისიც, რომ კლემისას ნაკლებად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა არ იყო გათვალისწინებული. ეს ქვეყნები კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველაზე მეტად მშრალი კლიმატი უარყოფითად სწორედ მათზე აისახება. თუმცა, გაეროს ანგარიშის მიხედვით, გვალვა ნელ-ნელა მთელ მსოფლიოში ვრცელდება, რის გამოც მასთან გამკლავება ცოტა ხანში თითქმის ყველა რეგიონს მოუწევს. „გვალვა, შესაძლოა, მალე მომდევნო პანდემიად იქცეს, რომლის საწინააღმდეგო ვაკცინაც არ არსებობს. უახლოეს რამდენიმე წელიწადში დედამიწაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას წყლის ნაკლებობა დამუქრება. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მასზე გაზრდილ მოთხოვნას რესურსის უქონლობის გამო ვერ დააკმაყოფილებთ. ეს, ასევე, ნიადაგის დეგრადაციასა და ძირითადი მარცვლეული კულტურების მოსავლის რაოდენობის შემცირებასაც გამოიწვევს“, - აცხადებს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, მამი მისოტური. მეცნიერთა თქმით, ამგვარი გვალვის უმთავრეს მიზეზებს შორისაა კლიმატის ცვლილება, წყლის რესურსის არასწორი გადანაწილება და მოხმარება, სამეურნეო მიზნით მიწის აქტიური გამოყენება (ტყის მასივების გაჩეხვის ხარჯზე), ნიადაგი დიდ ოდენობით სასუქის შერევა და სხვა. მამი მისოტურის აზრით, საფრთხის თავიდან ასაცილებლად რეგულაციები უნდა დაწესდეს, თანაც რაც შეიძლება სწრაფად. ის რისკის ქვეშ მყოფი თითოეული ქვეყნის ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

როგორ მოვიძებთ გვალვის (ძლი-



რი სიძხვის) დროს?

- წინასწარ მოვანყოთ სარწყავი სისტემა, რომ გვალვისგან დავიცვათ სასოფლო-სამეურნეო კულტურები.
- მოვერიდოთ მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებას, ვიაროთ აუქქარებლად, მეტი დრო გავატაროთ ჩრდილში.
- ვატაროთ თეთრი ან ღია ფერის სამოსი, ჰაერგამტარი ფეხსაცმელი და ქუდი.
- მივიღოთ ბევრი სითხე, მაგრამ მოვერიდოთ ალკოჰოლურ სასმელებს.
- გავერიდოთ სხეული, რომ თავიდან ავირიდოთ სითბური დარტყმა.
- თუ სახეზეა სითბური დარტყმის სიმპტომები (სხეულის მაღალი ტემპერატურა, მშრალი და ცხელი კანი, დამძიმებული სუნთქვა, დაბალი წნევა, გონების დაკარგვა) დაზარალებული მოვათავსოთ გრილ ოთახში, გავუგრილოთ სხეული,

გონზე მოსვლის შემდეგ, დავალევინოთ დიდი რაოდენობით სითხე.

გვალვა გაუდაბნობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. კლიმატის ცვლილების გლობალური პროცესის გაგრძელების პირობებში, პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში გაუდაბნობის პროცესმა შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს, განსაკუთრებით ქვემო ქართლის და დედოფლისწყაროს რაიონებში. თუ გავითვალისწინებთ მეცნიერების განცხადებებს, გლობალურმა დათბობამ, საგანაშენლოდ, უკვე შეუქცევადი სახე მიიღო, რაზეც ზღვის ყინულის დნობის საგანგაშო მაჩვენებელიც მიანიშნებს. ეს პროცესი კი ჩვენი პლანეტის ეკოსისტემებზე არც თუ ისე სახარბიელოდ იმოქმედებს. საგანგაშო მაჩვენებლები კი მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს.

# რა საფრთხეების გავლამოუწევს პროფესიულის სტუდენტს ატესტატთან გათანაბრებული დიპლომის მისაღებად

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, უნივერსიტეტში სწავლას ვეღარ აბრძობებ, რადგან მისი დიპლომი ატესტატთან გათანაბრებული არ იყო. ეს წესი უკვე შეცვლილია და კოლეჯების ნაწილი მსუბუქი უკვე სთავაზობს საშუალო საფენის ინტეგრირებულ პროგრამებს. მსბაპს პროგრამებზე 500 სტუდენტი უკვე სწავლობს და მიმდინარე წელს არსებულ ქმრას, 1200-მდე ახალი ადგილი დაემატება.

იმისთვის, რომ კოლეჯმა ინტეგრირებული პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვოს, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა საჭირო, მათ შორისაა სპეციალური ლაბორატორიები ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სწავლებისთვის.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სახელმწიფო კოლეჯები ძირითადად აღჭურვილია საჭირო ტექნიკით და წლის ბოლომდე სავარაუდოდ ყველა

მათგან ერთი პროგრამა მაინც ექნება, რომელიც მსურველს ინტეგრირებულ სწავლებას შესთავაზებს. შესაბამისი აკრედიტაციის მიღების პროცესი გრძელდება, რაც კერძო პროვაიდერებში მასშტაბური არ არის, თუმცა პორცესში 10-მდე კერძო კოლეჯის ჩართვა მოხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად იზრდება პროფესიული კოლეჯების რიცხვი, რომლებმაც სკოლის საშუალო საფენის სწავლების განხორციელების უფლება მოიპოვეს, ვერ ოფიციალურად დამტკიცებული არაა, კურსდამთავრებულებს საბოლოო შეფასების კრიტერიუმები და მათი მხრიდან დიპლომის მიღების პირობები.

ცნობილი გახდა, რომ ინტეგრირებული პროგრამების კურსდამთავრებულებს, დიპლომის მისაღებად სპეციალური კომისიის დასკვნის მოპოვება მოუწევთ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პახაპარ პარაძემ, EDU. ARIS.GE -სთან საუბარში განაცხადა, რომ სტუდენტი შესაბამის დიპლომს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ და ზოგადი განათლების კომპონენტებს სრულყოფილად გაივლის და პროფესიული სასწავლებლის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიისგან აღიარებას მოიპოვებს.

„როდესაც დადასტურდება ინტეგრირებული მოდულებით სწავლის შედეგების დადასტურება, პირზე გაიცემა

პროფესიული დიპლომი, არ გაიცემა ცალკე ატესტატი, შესაბამისად, თუ კურსდამთავრებულს მოესურვება უმაღლესის მისაღებ გამოცდებში მონაწილეობა, ის ატესტატის ნაცვლად მეოთხე დონის პროფესიულ დიპლომს წარადგენს. ინტეგრირებული მოდულის ფარგლებში მოსწავლის შეფასება არ ხდება მხოლოდ საბოლოო გამოცდით, არამედ, ის ასრულებს კომპლექსური დავალებებს, როგორც მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაშია, მოდულების მიხედვით და პროგრესის ანალიზის შედეგად ის მიღის საბოლოოდ სწავლის შედეგად. ის თემა, რომ ვინმე მოვა და პირდაპირ გამოცდას ჩააბარებს, სამოტივაციოა, თუკი პროცესში არ მიიღებს მონაწილეობას. მეორე, ინტეგრირებული მოდულები ცალკე არაფერს არ ნიშნავს პროფესიის გარეშე, ანუ ვიღაცამ რომ მხოლოდ ინტეგრირებული მოდულები გაიაროს, არ ნიშნავს, რომ ამაში ატესტატს მიიღებს. მას შედეგ, რაც ეს სტუდენტები ცალკე ცალკე მოდულების მიხედვით დადასტურებენ სწავლის შედეგების მიღწევას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას ზოგადი განათლების საშუალო საფენური უდასტურდება. მართალია, სკოლაში ჩაიხსნა კატის გამოცდები, მაგრამ ჩვენთან დარჩა რალაც მსგავსი და ეს გახლავთ ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში მიღებული სწავლის დადასტურების საბოლოო, კომისიური წესით შეფასება“, — ამბობს კახაბერ ერაძე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი ასევე აღნიშნავს, რომ დიპლომის გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიული სასწავლებელი ერთპიროვნულად ვერ მიიღებს. მან უნდა შექმნას ნეიტრალური პირებით დაკომპლექტებული კომისია, რომლის წევრებიც განიხილავენ თითოეული სტუდენტის პროფილის და მიიღებენ

გადანწყვეტილებას დაუდასტურდება თუ არა მას სწავლის შედეგები.

კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყოს, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის და საჯარო სკოლის წარმომადგენელი, ასევე კოლეჯის პარტნიორი ბიზნეს კომპანიის წარმომადგენელი, ან ასევე პარტნიორი კოლეჯის პედაგოგი, თუმცა კომისიის უმრავლესობას აუცილებლად უნდა წარმოადგენდნენ ნეიტრალური წევრები.

„სასწავლებელმა უნდა შექმნას კომისია. ორი მთავარი პრინციპი იქნება ჩვენი, ხარისხის ცენტრის მონიტორინგის საგანი: პირველი, რომ კომისია აუცილებლად უნდა შედგებოდეს მონეული პირებისაგან, პრინციპში უმრავლესობას უნდა ქმნიდნენ მონეული პირები. შესაძლოა, კომისიაში შედიოდეს ვთქვათ სასწავლებლის სამი წარმომადგენელი და 4 მონეული პირი, რაც კანონის შესაბამისია, ანუ უმრავლესობას არ უნდა ფლობდნენ სასწავლებლის წარმომადგენლები. დავუშვათ, მონეული წევრებიდან, კონკრეტულ სხდომაზე ვერ გამოცხადდეს ნეიტრალური წევრების ნაწილი და ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ამ დროს კომისია აღარაა ქმედუნარიანი. კომისია უნდა იყოს ნეიტრალური, მის შემადგენლობაში სავარაუდოდ იქნებოდეს სკოლის ან რესურსცენტრის წარმომადგენლები, იმიტომ, რომ ვსაუბრობთ უფრო ზოგად განათლებაზე, მაგრამ ეს არის ჩვენი მხრიდან მხოლოდ რეკომენდაცია, პროფესიული სასწავლებელი თავად გადაწყვეტს ვინ მოიწვიოს, შეიძლება ეს იყოს სხვა პარტნიორი კოლეჯიდან ინტეგრირებული მოდულის მასწავლებელი, მთავარია, ინტერესთა კონფლიქტი არ ჰქონდეს სტუდენტთან და კომისიაში არ უნდა იყოს მისი მასწავლებელი“, — განმარტავს კახაბერ ერაძე.

გვერდი მოამზადა უწყუნა ხანრაშვილია





**ახალი შირაქი**

საქართველოს კავშირდროშის რაიონისა და  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და

**„შირაქის“ სკივრი**

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიანი ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

### „შირაქის“ მორიგი გამარჯვება

წითელწყაროს ფეხბურთელთა გუნდმა კვირას საკუთარ მოედანზე გამართა 22-ე ტურის მატჩი საქართველოს პირველთა ლიგაში. მათი მოწინააღმდეგე იყო ახალქალაქის „აბული“. თამაშის როგორც პირველი, ისე მეორე ნახევარი წითელწყაროელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და შეხვედრაც დიდი ანგარიშით მოიგეს მასპინძლებმა — 5:1.

სტუმრების კარში 4 ბურთი გაიტანა ტარიელ ლვედაშვილმა, ერთი კი — მინდორაშვილმა.

სპორტის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ პირველი წრის გამოტოვებული მატჩი ქარვთლის „განთიადთან“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დანიშნულია ოთხშაბათს — 10 სექტემბერს წითელწყაროს სტადიონზე.

ბ. ჟორჯიაშვილი.

**АХАЛИ ШИРАКИ □ ИНДЕКС 66613 □ საქ. სსრ მინისტრთა ხაზ**

## ნიკა პაპა

გაზეთის პაპანაქება სიტყვაა. შირაქის გზებზე მანქანებს გვერდს ქლივს აუვლის ქაკი. მოდიან მარცვლებით დატვირთულნი, სტლიან ხავეს მარებს საკომპლემენტო და სახელმწიფო ბელებში. ბრუნდებიან უკან, ხვედებიან ერთმანეთს, ესაუბრებიან, საუვირის რთავენ და გაოფლილ შუბლს ნიავს უშვებენ.

გზაზე გალღობილ ასფალტს მანქანის ხალტების ქვიშ ტაკატაკო გააქვს. მონოტონურად ეხეთქება ძარას ხალტების მიერ გასროლილი კიშა და ამ ხმაურში იკეტებიან კილომეტრები.

იმ დღით შირაქის გზაზე ვინც გაიარა, აუცილებლად შეამჩნევდა ბერიკაცს წიხით ხელში. მოხუცს ჩოხის კალთები ქამარში ჩაეტანებინა და ას წელს მიღწეული, ნელ-ნელა მიაბიჭებდა შირაქისაკენ, სიციხისაგან გაღობილ ასფალტზე. თავაზიანი მძღოლები ყოველ ნახიჯზე უჩერებდნენ მანქანას მოხუცს, მაგრამ იგი უფელას ერთდამავე პა სუ ხ ს ამღებდა. — მადლობელი ვარ, შვილებო, ფეხით მიჭობს სიარული და კვლავ განაგრძობდა გზას.

ზღვა წვეთობით იღვევო და მოხუცის მუხლებზე შირაქის გზაც მალე შემოკლდა „სადიანის სერზე“ ასულმა ბერიკაცმა ხარბად გახედა შირაქის ველზე ოქროსფრად მოელვარე პურის უანებს და შიგ მოგუგუნე ველის სომალდებს. მოხუცმა მეხსიერება დაძაბა, გაიხსენა პირველი გუთნეული, ეკვრით ნაღვენი მარცვლი, პირველი „ფორზონის“ ტიპის ტრაქტორი და საღვენი მანქანა. მოგონებებმა ეღვის სისწრაფით გაიფრთხილა მოხუცის გონებაში. შემდეგ ხელით მოფშვნიტა დაპურებული თავთავი და სული შეუბერა.

— მოსავალს კარგი პირი უჩანს, — ჩაილაპარაკა თავისთვის და იქვე ქარსაფარ ზოლში მომუშავე მოსწავლეებისაკენ გაემართა. ბავშვებმა მაშინვე იტყნეს ჭაფარიძის კოლმეურნეობის უხუცესი წევრი

ნიკა იაკობიშვილი და კითხვის დაყარეს.

— ემ, შვილებო, გულმა პირ გამოძლო შირაქის მოსავლისათვის თვალი არ გადამუწლო!

ამ ადგილებში, პირველი ხნული მე გამოიტარებია, ნამდვილი მომიმიკია მოსავალი და ძნელი ეკვრით მიღვევია. ახლა კი თქვენია ცხოვრება, იცოცხლეთ, იზენიერეთ და რაც შეთავარია, ისწავლეთ, ადამიანის გონებაში ბევრი სიკეთე შექმნა და ბევრს კიდევ შექმნის.

მოსწავლეები მთელი გულისყურით ისმენდნენ მოხუცის სიტყვებს. შემდეგ წამოიშალნენ ბერიკაცს მიდმარნენ, რომ მანქანაში დამჯდარიყო.

სწრაფად დაიძრა ადგილიდან მანქანა, უკან მოიტოვა მტკრის კორიანტელი.

... გამარჯობათ ნიკა პაპა, გამარჯობათ, — ესალმებოდა შემხვედრი მძღოლები მოხუცს.

— იცოცხლეთ შვილებო, იცოცხლეთ, ხელის აწევით პაპუხობს საღამზე ბერიკაცი და შემხვედრ ნიავს გახურებულ შუბლს უშვებს.

უ. წყარუაშვილი.

## ყოჩაღი ბიჭი

ტარიანაში ერთი დაკუმული ადგილია, ყარღოს ებახიან. წითელწყაროს რაიონის სოფელი არბოშიკის კოლმეურნეობის მეფრინველეობის სარჩიხვე ბრიგადის ხწორად ამ ადგილას დაუღვია ბინა. ინათებს თუ არა, მოზარდ ფრინველები ერთი ალიაქოთი აუტყვებდა. მერე აჭრილდებო კარი და თოვლივით კათქათა ფრინველი ეზოს მოეფინებო.

— ჯუკო, ჯუკო! — მოისიმის ბიჭის წვრილა ხმა და საკვებურებში უხად იყრება საკენი. ჩრჩხვები ერთი ალიაქოთით მიეძალბებიან საკვებს, კენკავენ მანამ, სანამ ჩრჩხვები ბურთები ერთი არ დაებტრებო.

საკვების მერე წყალიც უყვართ და ახლა თითოთილ ხის გეგებისა-კენ მიიჩქარიან. მათ მომგულელ ბიჭს სუფთა წყალიც ადრევე მოუმარაგებია და სავეს გეგებში ცა ლურჯად კამკამებს. ჩრჩხვები ნისკარტებს შიგ ყოფენ და მადლა იყურებიან, ვერ გაუგიათ, გეგაში ვინ ჩამოსახლა ლაქვარდოვანი ცის ნაჭერი.

როცა წყლით გულს იჭვრებენ, ჩრჩხვები ეზოდან იფანტებიან და ბალახებში კიბდუბაზე სანადიროდ მიდიან და სულაც არ აღელვებთ, რომ მათზე სანადიროდ ათასი ოხერი და დარდუბალა ჩასაფრებულა. აი იმ დღეს ქორმა წამოურათ თავს, ამ დროს თოფმაც იგრილა და მტაცებელი სა-დმაც ბარდებში ჩაგარდა. მესამე დღეს კი ბინაში შემოპარული მკვის სიმხმრეველი მოაძალა ბატარა მეფრინველმ რომლის ფრინველი თვალი ერთი წუთითაც არ სცილდებო ამ არემარეს.

ამასწინათ ფერმას პარტიის წითელწყაროს რაიონის მდივანი ესტუმრა. ფერმის სხვა მომვლელებთან ერთად მდივანს ბესიკ ალადაშვილიც შეეგება.

— შენ აქ რა გინდა? — გაოცდა რაიონის მდივანი, ამ სიმორხე ამ ბიჭს რამ გააბედინა წამოსვლაო.

— მამას გამოკვეცი, უსრისებს ვეზმარები ფრინველის მოვლაში.

— მგლების არ გვინია? — ნეტავი გამოჩნდეს და — რას იზამდი? — მამას თოფი აქვს, სულს გააფრთხოვინებდი!

— ძალიან ვორალი ბიჭია — თქვენს სუბემაც უკვე მესამე თვეა, რაც არბოშიკის სასულს სყოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ბესიკ ალადაშვილი ყარღოზე, რომ მეფრინველეობის ბრიგადაა, მისი პატარა მომვლელია, პირველ სექტემბრამდე აქ დარჩება და მერე კი სწავლას შეუდგება.

ერქარება სწავლის დაწყება იმიტომ კი არა, რომ ტარიანის თაკარა მზე მომზრდა და სოფელი მომბატრა, არა, ყოჩაღ ბიჭს ტოლმეგობრებთან ბევრი რამ აქვს სათქმელ-საამბობელი.

მ. ასლაპაზიშვილი.

სასამართლოს  
დარბაზიდან

**უწყარუაშვილი**

## 2 ივნისი სამუხაბათი, 1970 წელი. №64 (მ.288). გამომცემის 88-ე წელი.



ერთხელ ჩემს მეზობელს, პირველკლასელ გოგონას ვკითხე: — ვიგნები თუ გაქვს? — კიო! — თავი დამიქნია იმან. — აბა, რომელი ვიგნები? — „დედა ენა“ და „დილაო“ — მიპასუხა პატარა მეზობელმა და მზად იყო, იქ წაეკითხული მოთხრობები მოეყოლებინა, ლექსები ზებირად ეთქვა.

მართლაც ჩვენი პატარებისათვის „დედა ენის“ შემდეგ ერთ-ერთი პირველი საკითხავი უურჩალი „დილაო“.

„დილაო“ თავისი არსებობის მანძილზე, მილიონობით ბავშვს შეაყვარა თავი. მთის წიადიდან ამოდუღებული წყაროსი არ იყოს, მოდის, მორაკრავებს და მარად დაუსრტელი გონების გასახსნელ საზრდოს აწვდის პატარებს, თავისი კარგი მოთხრობებით, მხიარული ზღაპრებით, ლექსებითა და გამოცანებით ესაუბრება ნორჩებს. მერე ნახატები? თვითეული მათგანი სათუთად შეუსრულებიათ უურჩალის ირგვლივ შემოკრებილ მხატვრებს.

და აი, ამ კარგი საბავშვო უურჩალის შემოქმედნი მთავარი რედაქტორი მუსხრან მამუაშვილიანი, სარედაქციო კოლეგიის წევრები: იური ჯემმარტალიანი, კუპატრი გომიანაშვილი, ლეილა ერამია, შალვა ცხადაძე, ანზორ აბულაშვილი, გიორგი როინიშვილი და სხვები დღედაღამ ფიქრობენ და მუშაობენ იმისათვის, რომ „დილას“ არ მოაკლდეს კარგი მოთხრობა და ლექსი, შესანიშნავი ნახატები, გულის გამხარებელი ზარადები და გამოცანები.

გუშინ ჩვენს ქვეყანაში ზეიმით აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ეს დღე სიუვარულით აღინიშნა წითელწყაროს რაიონში, ამ დღეს ეძღვნება ჩვენი გაზეთის ეს გვერდიც, სადაც უურჩალ „დილას“ ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს ვებმავთ.

ვლადიმარ ასლაპაზიშვილი.

## ყურძნის საკრევი კომპაინი

დადასტნის სასოფლო-სამეურნეო ინტიტუტებმა სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შექმნეს ყურძნის საკრეფი ახალი კომპაინი. მისი სახელწოდებაა „დადესტანი“. მანქანა ძირითადად კრეფს და ყუთში ალაგებს სუფრის ჯიშებს, ტექნიკურ ჯიშებს კი ტკბილად ამუშავებს.

იმისათვის, რომ კომპაინმა წარმატებით იმუშაოს, ვაზი ფორმირებულ უნდა იყოს, სპეციალურ დახრილ და ჰორიზონტალურ შპალერზე. პროფ. ა. ნეგრულის წინადადებით მიმდინარეობს ვაზის ფორმირების ახალი მეთოდის შემუშავება.

„დადესტანი“ ერთი სტანდარტული ასმეტრიანი რიგის მოკრეფას 5-6 წუთს ანდომებს. კომპაინის მწარმოებლობა ერთ ცვლაში ორი ჰექტარია. სუფრის ყურძნის კრეფისას მას სამი კაცი ემსახურება, ტექნიკური ჯიშის კრეფისას კი — ერთი. გამოცდის დროს ლერწის მტკრევა შეინიშნული არ ყოფილა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის თანამშრომლები სამიმარს უცხადებენ პედაგოგ ნინო ალადაშვილს მამლის გულს ალუღიშვილის გარდაცვალების გამო.

# საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის კარი — საქართველოს ჩრდილოეთი კარიზჟი“ ტარდება

25-27 ივნისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციის ფონდის მიერ გამოცხადებული საქართველოს საზღვრისკარგა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების კონსერვაციის განხორციელებული პროექტის ფარგლებში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი — საქართველოს ჩრდილოეთი კარიზჟი“ გაიმართა.

როგორც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში აცხადებენ, სამეცნიერო პროექტის წამყვანი ორგანიზაციაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, პარტნიორი ორგანიზაციები - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი.

კონფერენციის მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრეს თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ბიორბი ჭიშკვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბიორბი შარვაშიძემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკაძემ, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, ჯაბა სამუშიამ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ და სხვა გამომსვლელებმა.

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, ჯაბა სამუშიამ ისაუბრა კომპლექსური პროექტის სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ-ისტორიულ ღირებულებებზე, პროექტების ფარგლებში გამოცხადებული სამეცნიერო-კვლევითი და ეთნოკულტურული პრობლემები, ამჟამად ტარდება კონფერენცია „კავკასიის კარი- საქართველოს ჩრდილოეთი კარიზჟი“, მნიშვნელოვანია, რომ ამ ღონისძიებას შესაბამისი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვეს, საერთაშორისო საზოგადოებას, მათ შორის, სამეცნიერო წრეებს უნდა მიენდოს ობიექტური ინფორმაცია ამ რეგიონის ისტორიისა

ცნობისთვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიზჟი“ ეძღვნება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის (ისტორიული ხევი, თრუსო) წარსულისა და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. კონფერენციის მიზანია აკადემიური წრეებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის ამ რეგიონში უძველესი დროიდან დღემდე მიმდინარე ეთნო-კულტურული და ისტორიული პროცესების ობიექტურად გაშუქება; ეროვნული და საერთაშორისო აკადემიური წრეების თანამშრომლობის გაღრმავება, ერთობლივი კვლევითი პროექტების დაგეგმვა, კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის ინტერნაციონალიზაცია და პოპულარიზაცია. ფორუმში მონაწილეობენ კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის სხვადასხვა მიმართულების როგორც ცნობილი, ისე ახალგაზრდა მკვლევრები საქართველოსა და საზღვარგარეთის აღიარებული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებიდან.

# მადლიერება!

გაზეთი „შირაჟის“ რედაქციაში მაღლოვის წერილი შემოვიდა. წერილს ხელს რამდენიმე ადამიანი აწერს. ისინი მაღლოვას უხდინან დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მედიკოსონალს დაუღალავი შრომისა და პროფესიონალიზმისთვის. ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

კორონავირუსის პანდემიას ვერც ჩვენ გადავურჩით და მიმდინარე წლის 2 ივნისს მოვხვდით დედოფლისწყაროს კოვიდ-ცენტრში. მისვლისთანავე აღმოვჩნდით დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ. ცენტრის მთელი მედ.პერსონალი არ ზოგავდა ენერჯიას ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ექიმი იამზე ბალაშვილი ყველა პაციენტის მდგომარეობას დღეში რამდენჯერმე აკონტროლებდა, ყველას მიმართ იჩენდა დიდ სითბოსა და ყურადღებას. ყველა მორიგე ექთანს თუ დამხმარე პერსონალი არ ზოგავდა საკუთარ ჯანმრთელობას და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა თავის მოვალეობას. ისინი, ყველა მართლა გმირები არიან, როგორც მათ ხალხმა უწოდა. მათი წყალობით ჩვენც დავამარცხეთ კორონავირუსი.

კოვიდ-ცენტრში მყოფი ყველა პაციენტი გვიყვებოდა, თუ როგორ მძიმე მდგომარეობაში მოიყვანეს და როგორ გამოჯანმრთელდნენ ამ ადამიანების წყალობით, გამოთქვამდნენ დიდ მადლიერებას მედ.პერსონალის მიმართ.

თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას ვუხდით შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი - დედოფლისწყაროს“ ხელმძღვანელობას, ქალბატონ ხათუნა ზურბანიძეს, ბატონ მანო ნატროშვილს, კოვიდ-ცენტრის განყოფილების უფროსს, ექიმ იამზე ბალაშვილს, ყველა ექთანს და დამხმარე პერსონალს, ვინც თავგამებრით და უანგაროდ იბრძვის თითოეული ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

პატივისცემით,  
მარინა შიტინიშვილი, ელენე უთრუთაშვილი-გაჩანაძე

# ყურადღება!

სსიპ კოლეჯი „აისი“/College Aisi  
ასსადას მიღებას  
2021-2022 სასწავლო წლისათვის

სსიპ კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს ფილიალში დაიწყება რეგისტრაცია, მიმდინარე წლის 5 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ინჟინერიის მიმართულება:
1. ელექტრობა-III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 9,5 თვე)
2. ქვის სამუშაოების წარმოება- III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 11 თვე)
3. შედუღება-IV დონე(სწავლის ხანგრძლივობა 14 თვე)

ხალხთა მართვა:
1.თმისა და სილამაზის მომსახურება-III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 10,5 თვე)

2. თექის დამზადება-III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 13,5 თვე)

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სწავლის მსურველებს უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- 1. 2 ცალი ფოტოსურათი/ზომით 3/4
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად
4. განცხადება/ადგილზე შევსებით

საბუთების მიღება დაიწყო!  
ინჟინერიის მიმართულებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:  
ქ. დედოფლისწყარო, სოფ. სამრეკლო (სოფ. ჯაფარიძე)  
ტელ: 577 557 159 ; 577 962 967

# ულოცავთ!

## მეუფე დიმიტრის (კაპანაძის)!



ჩვენო ძვირფასო სულიერო მოძღვარო, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას. ზოგადად, დიდია თქვენი ღვაწლი ადამიანების სულიერი გაძლიერების საქმეში. მათ შორის ჩვენთვისაც საიმედო დასაყრდენი ხარ - თბილი, კეთილი, მზრუნველი. მადლობელი ვართ ყველაფრისთვის. უფალი იყოს მუდამ თქვენთან.

არონი და ანა იაკობიშვილები

## სოლომონ პოპიაშვილს! ნინო უზუნაშვილს!

ჩვენო ძვირფასებო, ჩვენო სოლომონ და ნინო, გულწრფელი სიხარულით და სიყვარულით გილოცავთ ოჯახის შექმნას. იყავით ბედნიერები, ჯანმრთელები, ურთიერთსიყვარულით გალიეთ თქვენი ცხოვრების გზა. ულევ სიხარულს და ბედნიერ დღეებს გისურვებთ. მრავალშვილიან ოჯახებში გაზრდილებს თქვენც აკვანთა სიმრავლე დაგებებოდეთ.

გკოცნით და გეფერებით,  
ბიძები: გელა და ვაჟა ბილიაშვილები, ბიცოლები: ეთერ ალადაშვილი და ნონა საბანაძე, ბიძაშვილები: ანა, ლევანი, დავით ბილიაშვილები, სიძე ბიორბი გომბლიძე, რძლები: დავნი მასარიკაშვილი, ნათია ხაოშვილი



გამომცემელი შპს „შირაჟი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნინო გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინა ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭავაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჟის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სოლომონ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფილიალის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.